საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #44

2020 წელი 21 დეკემბერი 16,00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ლ.დარახველიძე, ი. ჯიშკარიანი,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია და უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი:

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ მიმოიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები, რომლებიც დაფინანსდება 2794,4 ათასი ლარით, მათ შორის

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 1614.4 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორი, რომლის საშუალებითაც ბენეფიციარებისათვის შეიქმნება ბიზნეს-გეგმები 8 პრიორიტეტული სფეროს შესაბამისად, საკონსულტაციო ჯგუფებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად თემატურ საკითხებზე გაეწევათ კონსულტაციები და ჩაუტარდებათ ტრენინგები - 105000 ლარი; ბიზნესის მხარდაჭერა ადგილობრივ გამოფენებში (გრანტი ევროკავშირის გარე მოქმედებები - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის") - 75360 ლარი; გრანტის ფარგლებში აყვანილი თანამშრომლების ანაზღაურება - 384710 ლარი; ბიზნეს აქსელეტატორის ოფისის ხარჯები - 17530 ლარი;

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 130000 ლარი;

ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისათვის - 190500 ლარი;

საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით აქსელერაციის პროგრამის ჩატარება - 60000 ლარი;

გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა - 651300 ლარი;

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით;

თბილისის შესახებ საპრომოციო მასალების ბეჭდვა - 35000 ლარი;

პოსტპანდემიური ეკონომიკური შედეგების მართვის სამოქმედო გეგმა - 210000 ლარი;

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება - 5000 ლარი;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 140,0 ათასი ლარით;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება - 70000 ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 70000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 600.0 ათასი ლარით;

ეკო-ტურისტული (სამთო-საფეხმავლო ბილიკის) შესწავლა/პროექტირება თბილისის გარშემო (მინიმუმ 3 ეკო-ტურისტული ბილიკის შესწავლა/პროექტირება) – 40000 ლარი;

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეკო-ტურისტულ ბილიკებზე - 120000 ლარი;

ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა (ინფო-ტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 120000 ლარი;

სხვადასხვა ქვეყნის გამყვან ტურიზმზე ორიენტირებული კომპანიების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა - 110000 ლარი;

სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 50000 ლარი;

ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ- ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად თემატური სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება - 50000 ლარი;

ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 50000 ლარი;

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება - 60000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 190,0 ათასი ლარით;

საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება და თანაორგანიზება/თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 50000 ლარი; (დარბაზის ქირაობის ხარჯი, ყავის შესვენების ხარჯი, კონფერენციისათვის ტექნიკის ქირაობის ხარჯი, სინქრონული თარგმანის ხარჯი). შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის (წლის განმავლობაში არანაკლებ 3 შეხვედრა და თითოეული შეხვედრა არანაკლებ 25 პერსონის მონაწილეობით) – 15000 ლარი;

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანია დაფინანსდება - 100000 ლარით;

საერთაშორისო ინვესტორებისთვის დროებითი სამუშაო სივრცის ორგანიზება/მოწყობა - 25000 ლარი.

2. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ ისაუბრა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2020 წლის პერიოდში განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ.

ტურიზმი

1. თბილისი გახდა European Best Destination „ევროპის საუკეთესო სამოგზაურო მიმართულება 2020“ (მესამე ადგილი)
2. შიდა ტურიზმის პოპულარიზაციისა და ტურისტული გიდების მხარდასაჭერად ჩატარდა ღონისძიება „აღმოაჩინე ისტორიული თბილისი“.
3. გასტრონომიული ბიზნესის მხარდასაჭერად და თბილისის გასტრო-ტურისტული პოპულარიზაციის მიზნით სოციალური მედია კამპანია განხორციელდა ფრანგ ბლოგერ, იფლუენსერთან (limitlessecrets) თანამშრომლობით.
4. მცირე და საშუალო გასტრონომიული ობიექტების მხარდასაჭერად გაიმართა „თბილისის გასტრონომიული კვირეული“. პროექტის ფარგლებში 10-მდე ღონისძიება ჩატარდა, რომელთა ძირითად მიზანს covid 19-ის შედეგად დაზარალებული გასტრონომიული სექტორისა და კერძო ობიექტების ხელშეწყობა წარმოადგენდა.
5. ტურიზმის სექტორის ხელშეწყობის მიზნით, ვებპორტალი - www.tourismmentor.ge შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ პირებსა და კომპანიებს დაძლიონ გამოწვევები და განახორციელონ ახალი პროექტები.

ვებგვერდზე არის ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის მასალები ტურიზმის სფეროში. ასევე, პლატფორმას აქვს მენტორის ფუნქცია, მომხმარებელს შეუძლია სხვადასხვა მიმართულებით (კვების ობიექტები, ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ტრანსპორტი, შემოქმედებითი ინდუსტრია, საცალო ვაჭრობა და ა.შ.) წერილობითი ფორმით განათავსონ პრობლემა, რომელიც უკავშირდება მათ ბიზნესს, ან წარმოადგენს ახალ ბიზნესმოდელს, რომლის განვითარებისთვისაც ესაჭიროება დახმარება, შესაბამისი მენტორი კი სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში, მიაწვდის ინფორმაციას, პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ვებგვერდზე, ასევე, განთავსდება და მუდმივად განახლდება ინფორმაცია ტრენინგებისა და სემინარების შესახებ, რომლებსაც მერია უწევს ორგანიზებას ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის.

6. შეიქმნა ვებპორტალი - www.findouttbilisi.com, რომლის მიზანიც არის გასაყიდი არხების შექმნა ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის. ტურიზმის სექტორის განვითრებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ პირებსა და ობიექტებს (ტურისტული გიდები, საკვები ობიექტები, ღვინის ბარები, კონცეპტუალური მაღაზიები და ა.შ.) საშუალება ეძლევათ, საიტზე განათავსონ შეთავაზებები, სიახლე ან ახალი წამოწყება, რომლის გაცნობაც სურთ ფართო საზოგადოებისთვის და რომლის მიზანი იქნება ტურისტების მოზიდვა და სექტორის განვითარების ხელშეწყობა.
7. კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის გაიმართა სემინარი „კვების ობიექტების მართვა კრიზისულ პერიოდში“ . სემინარი გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაციის დამფუძნებელმა ქეთევან კვიჭიძემ ჩაატარა და მიზანს მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობისა და შიდა ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა წარმოადგენდა. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ კვების ობიექტის მართვის თავისებურებებს კრიზისულ და პოსტ პანდემიურ პერიოდში
8. ფრანგულმა Haptag მედიამ შექმნა თბილისის საპრომოციო ვიდეო „Tbilisi is Back”, რომელიც განთავსდა Lonely Planet პლატფორმაზე და ტურისტებისთვის მოწოდებას წარმოადგენდა პოსტ კოვიდ პერიოდში სამოგზაუროდ
9. თბილისი მონაწილეობდა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ყოველწლიური კონკურსი "2021 წლის ევროპის საუკეთესო საშობაო ბაზრობა" / "European Best Christmas Market 2021", სადაც თბილისი ევროპის 10 საუკეთესო შობის მიმართულებას შორის აღმოჩნდა.
10. European Best Destination-ის „2020 წლის უსაფრთხო მიმართულებები“/ სადაც თბილისი პირველ ადგილზეა Covid 19-ის უსაფრთხო ქალაქების ჩამონათვალში
11. Forbes „2020 წლის უსაფრთხო მიმართულებები“ სადაც თბილისი ევროპის ყველაზე უსაფრთხო მიმართულებად დასახელდა COVID 19-ის თვალსაზრისით. რეიტინგი შედგებოდა 15 ქალაქისგან.

12. ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე World Travel Market 2020 წარდგენილ იქნა თბილისის სტენდი. ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე წლევანდელი გამოფენა მთლიანად ვირტუალური იყო.
13. Délice Network-ის გენერალური ასამბლეა გაიმართა. ღონისძიებაზე ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა წარადგინა პრეზენტაცია თბილისის გასტრონომიული პოტენციალის და უპირატესობების შესახებ. ასევე, განხილული იქნა განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გასტრონომიული ტურიზმის მიმართულებით.
14. ჩატარდა ქართული გასტრონომიული მასტერკლასების ვიდეო გადაღება და მისი გავრცელება სხვადასხვა ევროპული გასტრონომიული სკოლების წარმომადგენლებთან. აღნიშნული, ხელს შეუწყობს ქართული სამზარეულოს პოპულარიზაციას. პროექტი განხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია Delice Network-თან თანამშრომლობით, რომელიც მასტერკლასების ვიდეო ჩანაწერებს გაავრცელებს ორგანიზაციის წევრ ქალაქებთან.
15. ონლაინ სემინარების ტურიზმის სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლებისთვის: გიდები, კვების ობიექტები, ტურისტული კომპანიები
16. შეიქმნა თბილისის საპრომოციო გზამკვლევი ჟურნალის Here Magazine ონლაინ პლატფორმაზე. გაიდი მოიცავს მერიის პროექტის „ვიტრუალური თბილისი"-ს (Virtual Tbilisi) და სხვა ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას.
17. კვარტლური ნიუსლეთერი, რომელიც მიეწოდება დაახლოებით 4000 პირს, მათ შორის საერთაშორისო პლატფორმებს და ასოციაციებს.
18. ბროშურა 20 Reasons to Love Tbilisi კონტენტის და დიზაინის შექმნა. დაიბეჭდა 5000 ცალი.

ინვესტიციები

1. თბილისის პირველ ადგილზე ნომინირება საერთაშორისო რეიტინგში: fdi Intelligence - MAJOR EUROPEAN CITIES OF THE FUTURE 2020/21 – COST EFFECTIVENESS.
2. თბილისის პირველ ადგილზე ნომინირება საერთაშორისო რეიტინგში: Emerging Europe – Economic Potential
3. სამუშაო შეხვედრა ელექტონული კომერციის პოპულარიზაციისა და ათვისების მიზნით. მონაწილე კომპანიებთან განხილული იყო მიმდინარე ტენდენციები და დაიგეგმა რამდენიმე პროექტი ელ. კომერციაში ცოდნის და უნარების გაღრმავების მიმართულებით.
4. „აქსის თაუერსის" და თბილისის გაწევრიანება WTC ასოციაციაში
5. ახალი საინვესტიციო სექტორების იდენტიფიცირება Covid 19_ის პოსტ-პანდემიური პერიოდის გათვალისწინებით. პოტენციური მიმართულებების შერჩევა მიმდინარე უპურატესობების შეფასებით და პანდემიამდე არსებული სექტორების რევიზია.

6. სააგენტო ,,აწარმოე საქართველოში'' თანამშრომლობით, მხარდამჭერ პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისთვის გადამზადების კომპონენტში მხარდაჭერა ტრეინინგების სივრცის მიმართულებით. ტრეინინგ ცენტრის მოძიება ახალი ან მზარდი საინვეტიციო პროექტებისთვის.
7. თბილისის სატელევიზიო ანძის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში საინჟინრო და ობიექტის განვითარების დეტალური დიზაინის ტექნიკური დავალების შემუშავება ესტონურ კომპანია KoKo-თან კომუნიკაციით.
8. შეფასებების და გათვლების მომზადება ურბანული სამსახურის მიერ მოწოდებულ პროექტებზე.
9. პოტენციურ და არსებულ ინვესტორებთან მუდმივი კომუნიკაცია და საინვესტიციო პროექტების შეთავაზება. ასევე aftercare სერვისის წარმოება.

კვლევები და ანალიტიკა

1. მიმდინარეობს ეკონომიკური გზამკვლევი „თბილისი ციფრებში" განახლება და Covid 19-მდე და შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პროცესების შეფასება.

ბიზნესის ხელშეწყობა

1. მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის გამოფენა-გაყიდვების სერია „თბილისური ბაზარი"
2. „Taste Tbilisi/დააგემოვნე თბილისის ქუჩებში" - ღონისძიება ერთ ლოკაციაზე თავს უყრის კვების ობიექტებს და მის მიზანს გასტრონომიული კულტურის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია წარმოადგენს.
3. მიკრო და მცირე სექტორის მხარდასაჭერად ბიზნეს აქსელერატორი „სპარკის" აქტივობები: ბიზნეს გეგმების მომზადება, გადამზადება, საინფორმაციო მხარდაჭერა, პლატფორმებზე წვდომის გამარტივება და ადაპტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ ქ.თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი დადებითად იქნა შეფასებული და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე